

შპს კავკასუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017
წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	9

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძვლები	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	14
4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	25
5. ძირითადი საშუალებები	26
6. გაცემული სესხები	27
7. სახელშეკრულებო აქტივები	27
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	27
9. ფული და ფულის ეკვივალენტები	28
10. მიღებული სესხები	28
11. სახელშეკრულებო ვალდებულებები	29
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	30
13. ამონაგები	30
14. კომუნიკაციის ხარჯები	30
15. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	30
16. სხვა საოპერაციო ხარჯები	31
17. ფინანსური ხარჯები, წმინდა	31
18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	31
19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	35
20. პირობითი ვალდებულებები და აქტივები	36
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	39

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს კავკასუს ონლაინის დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიქირავეს შპს კავკასუს ონლაინის (შემდგომში კომპანია) და შვილობილი კომპანიების (შემდგომში ჯგუფი) სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის თარიღისთვის არსებული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების, სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას შპს კავკასუს ონლაინის თანდართულ სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი დასკვნის მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველში აღწერილი საკითხის მნიშვნელოვნების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება თანდართული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი შესადარისი ფინანსური ინფორმაცია, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა და სხვა განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არ არის აუდიტირებული. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებულ აქტივებთან და ვალდებულებებთან მიმართებაში და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ დავესწარიტ ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციას და ვერც ალტერნატიული საშუალებებით დავადასტურეთ შემდეგი ჯგუფების ძირითადი საშუალებების ფიზიკური არსებობა: „სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა“ და „დანადგარები და ოფისის აღჭურვილობა“, რომელთა საბალანსო ღირებულებები ჯამურად სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 51,087 ათასი ლარის ღირებულებით. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ამ ჯგუფის ძირითად საშუალებებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ ჯგუფის 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ჩამონათვალი კონტრაგენტების მიხედვით. შესაბამისად, ვერ შევძელით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების არსებობის, სისრულისა და სიზუსტის დადასტურება. ეს მოთხოვნები და ვალდებულებები სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია შესაბამისად 30,409 ათასი და 24,246 ათასი ლარით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, უნდა ასახულიყო თუ არა სს თიბისი ბანკისგან მიღებული N348891/9142861 სასესიო ვალდებულება საბალანსო ღირებულებით 4,449 ათასი ლარი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (შენიშვნა 10). შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მიღებულ სესხებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჯგუფი ახდენს ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის შეუზღუდავი გამოყენებისთვის უცხოურ ვალუტაში მიღებული ავანსების გადაფასებას, რაც ეწინააღმდეგება ბასს 21- „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგების“ მოთხოვნებს. კომპანიის საბუღალტრო ჩანაწერების ბუნებიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ დავადგინეთ ფასს-ებიდან აღნიშნული გადახვევის ეფექტი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული საკონტრაქტო ვალდებულების 57,323 ათასი ლარის საბალანსო ღირებულებაზე. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა საკონტრაქტო ვალდებულებასა და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანი გარემოებები - ბუღალტრული არღიხვის საფუძველი

დასკვნის მოდიფიცირების გარეშე, გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ მე-2 შენიშვნაზე, რომელიც განმარტავს, რომ თანდართული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სრული შესადარისი წინა წლის ინფორმაციის გარეშე არ წარმოადგენს ფასს-ის მიხედვით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება განკუთვნილია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლისთვის 2018 წლის 31 დეკემბრისთვის.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს და საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე ფინანსური ინფორმაცია მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჯგუფის სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის “მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი” ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (#SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

20 დეკემბერი 2018 წელი

აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჯგუფის სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის "მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი" ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (#SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით
თბილისი, საქართველო
20 დეკემბერი 2018 წელი



შპს კავკასუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	31.12.2017	01.01.2017 *
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	103,898	108,123
არამატერიალური აქტივები		1,445	997
გაცემული სესხები	6	-	28,307
სახელშეკრულებო აქტივები	7	1,460	6,366
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	94
სულ გრძელვადიანი აქტივები		106,803	143,887
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		614	696
სახელშეკრულებო აქტივები	7	2,509	1,701
გაცემული სესხები	6	53	2,935
საგადასახადო აქტივები		575	174
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	30,409	15,264
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	6,948	2,043
სულ მოკლევადიანი აქტივები		41,108	22,813
სულ აქტივები		147,911	166,700
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	6	58,891	88,311
დაგროვილი ზარალი		(30,768)	(44,116)
დამატებით შენატანი კაპიტალში		1,316	1,316
უცხოური ვალუტის გადანაგარიშების რეზერვი		5,486	2,739
სულ საკუთარი კაპიტალი		34,925	48,250
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	10	7,815	14,246
სახელშეკრულებო ვალდებულებები	11	53,986	26,633
გადავადებული დღგ-ს ვალდებულება		467	492
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		62,268	41,371
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	10	12,896	7,263
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	24,246	35,737
სახელშეკრულებო ვალდებულებები	11	3,337	11,118
საგადასახადო ვალდებულებები		10,239	22,961
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		50,718	77,079
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		147,911	166,700

* 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილი მონაცემები არ არის აუდიტირებული

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2018 წლის 20 დეკემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

დირექტორის მოადგილე

გ. შანიძე

ვ. მღებრიანი

10-39 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს კავკასუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


(ათას ლარში)

	შენიშვნა	31.12.2017	01.01.2017 *
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	103,898	108,123
არამატერიალური აქტივები		1,445	997
გაცემული სესხები	6	-	28,307
სახელშეკრულებო აქტივები	7	1,460	6,366
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	94
სულ გრძელვადიანი აქტივები		106,803	143,887
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		614	696
სახელშეკრულებო აქტივები	7	2,509	1,701
გაცემული სესხები	6	53	2,935
საგადასახადო აქტივები		575	174
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	30,409	15,264
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	6,948	2,043
სულ მოკლევადიანი აქტივები		41,108	22,813
სულ აქტივები		147,911	166,700
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	6	58,891	88,311
დაგროვილი ზარალი		(30,768)	(44,116)
დამატებით შენატანი კაპიტალში		1,316	1,316
უცხოური ვალუტის გადაანგარიშების რეზერვი		5,486	2,739
სულ საკუთარი კაპიტალი		34,925	48,250
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	10	7,815	14,246
სახელშეკრულებო ვალდებულებები	11	53,986	26,633
გადავადებული დღგ-ს ვალდებულება		467	492
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		62,268	41,371
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	10	12,896	7,263
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	24,246	35,737
სახელშეკრულებო ვალდებულებები	11	3,337	11,118
საგადასახადო ვალდებულებები		10,239	22,961
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		50,718	77,079
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		147,911	166,700

* 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილი მონაცემები არ არის აუდიტირებული

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2018 წლის 20 დეკემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი
დირექტორის მოადგილე



გ. შანიძე
ვ. მღებრიანი

10-39 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს კავკასუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2017
ამონაგები	13	53,270
ცვეთა და ამორტიზაცია		(12,398)
კომუნიკაციის ხარჯები	14	(13,278)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	15	(5,887)
ქსელის რემონტისა და შენახვის ხარჯები		(2,088)
სხვა საოპერაციო ხარჯები	16	(5,013)
საოპერაციო მოგება		14,606
ფინანსური ხარჯები, წმინდა	17	(681)
ზარალი საკურსო სხვაობებიდან, წმინდა		(577)
მოგება დაბეგვრამდე		13,348
მოგების გადასახადის ხარჯი		-
წლის მოგება		13,348
სხვა სრული შემოსავალი		
უცხოური ვალუტის წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი		2,747
წლის სხვა სრული შემოსავალი		2,747
სულ წლის სრული შემოსავალი		16,095

10-39 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს კავკასუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე		13,348
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია		12,398
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა		2,047
ფინანსური ხარჯები, წმინდა	17	681
ზარალი საკურსო სხვაობებიდან, წმინდა		577
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალში ცვლილებამდე		29,051
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში		
მარაგების შემცირება		82
სახელშეკრულებო აქტივების შემცირება		4,098
საგადასახადო აქტივების ზრდა		(294)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(17,701)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემცირება		(8,309)
სახელშეკრულებო ვალდებულებების ზრდა		19,572
საგადასახადო ვალდებულებების შემცირება		(12,747)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		13,752
პროცენტების გადახდა		(1,182)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		12,570
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა		(7,710)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(734)
გაცემული სესხების ზრდა		(2,259)
მიღებული პროცენტები		2,737
სხვა გრძელვადიანი აქტივების შემცირება		94
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(7,872)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების გადახდა		(8,211)
მიღებული სესხების ზრდა		9,055
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		844
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა		5,542
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	9	2,043
ფულადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული ზარალი		(637)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	9	6,948

10-39 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს კავკასუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დამატებით შენატანი კაპიტალში	დაგროვილი ზარალი	უცხოური ვალუტის გადაანგარიშებ ის რეზერვი	სულ
01.01.2017 *		88,311	1,316	(44,116)	2,739	48,250
წლის მოგება		-	-	13,348	-	13,348
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	2,747	2,747
სულ წლის სრული შემოსავალი		-	-	13,348	2,747	16,095
კაპიტალის შემცირება	6	(29,420)	-	-	-	(29,420)
31.12.2017		58,891	1,316	(30,768)	5,486	34,925

* 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილი მონაცემები არ არის აუდიტირებული

შპს კავკასუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბრის

(ათას ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს კავკასუს ონლაინი (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 2007 წლის 11 ივნისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია წინამძღვრიშვილის ქუჩა #160, თბილისი, საქართველო.

კომპანიის მფლობელები 2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	01.01.2017
International Online Networks Limited	52.73%	52.73%
Nelgado LTD	47.27%	47.27%

კომპანიას არ ჰყავს საბოლოო ბენეფიციარი მაკონტროლებელი პირი.

შპს კავკასუს ონლაინი და მისი შვილობილი კომპანიები (შემდგომში ჯგუფი) დაფუძნებულები არიან, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები.

შპს კავკასუს ონლაინის შვილობილი კომპანიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შვილობილი კომპანიის დასახელება	ქვეყანა	მთავარი საქმიანობა	31.12.2017	01.01.2017
შპს კავკასუს ქეიბლ სისტემ ბულგარია (Caucasus Cable System Bulgaria LLC)	ბულგარეთი	ინტერნეტის მიწოდება	100%	100%
ნოვასტარ კომერს ლიმიტედ (Novastar Commerce Limited)	ვირჯინიის კუნძულები (ბრიტანეთი)	სატელეკომუნიკაციო გადაწყვეტილებები	100%	100%
შპს კავკასუს ქეიბლ სისტემ არმენია Caucasus Cable System Armenia LLC	სომხეთი	არ დაუწყო საოპერაციო საქმიანობა	100%	100%
შპს კავკასუს ონლაინ ფიზ (Caucasus Online FIZ LLC)	საქართველო	არ დაუწყო საოპერაციო საქმიანობა	100%	100%
შპს კავკასუს ქეიბლ ტრანზიტ (Caucasus Cable Transit LLC)	საქართველო	არ დაუწყო საოპერაციო საქმიანობა	50%	50%

2008 წლიდან კავკასუს ონლაინი არის Tyco Electronics-ის მიერ აშენებული 1,200 კილომეტრიანი წყალქვეშა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის ერთპიროვნული მესაკუთრე, რომლის საშუალებითაც ევროპიდან სამხრეთ კავკასიისა და კასპიის ზღვის რეგიონში ინტერნეტის ტრანზიტული მიწოდება ხორციელდება. შავი ზღვის ფსკერზე განთავსებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მეშვეობით ევროპიდან აზიისკენ მაღალი ხარისხის ინტერნეტის პირდაპირი მიწოდება გახდა შესაძლებელი.

2010 წელს „საქართველოს რკინიგზის ტელეკომის“ შემენამ ჯგუფს საშუალება მისცა ოპერირება მოეხდინა მთელს სამხრეთ კავკასიის რეგიონში: საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, ასევე ირანსა და ერაყში. შედეგად, იგი არის 600 კმ-იანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის და ობიექტებთან დამაკავშირებელი სარკინიგზო მაგისტრალის, ასევე დამოუკიდებელი 600 კმ-იანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურისგან შემდგარი GRT-ის ინფრასტრუქტურის მფლობელი.

ჯგუფის სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, ევროპიდან კასპიის ზღვისპირა რეგიონში და ევროპაში: ფრანკფურტი, ლონდონი, ბუდაპეშტი, ამსტერდამი, სოფია და კიევი - წარმოდგენილია 3,000 კმ სიგრძის DWDM ქსელისგან და რამდენიმე ფიზიკური და ვირტუალური POPs-გან.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა სხვა ინტერნეტ პროვაიდერების და საქართველოში, ბულგარეთსა და სხვა მეზობელ ქვეყნებში კორპორატიული გამომწერების სატელეკომუნიკაციო სერვისებით უზრუნველყოფა.

1. ზოგადი ინფორმაცია (გაგრძელება)

ჯგუფის მიერ მომხმარებლისთვის შეთავაზებული მომსახურების სახეები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- ინტერნეტის მიწოდება ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელით და ISDN ქსელით
- IP ტრანზიტი და ეზერნეტ მომსახურება
- სხვა სატელეკომუნიკაციო ოპერატორებთან დამაკავშირებელი სერვისები (სატელეფონო ზარების ტერმინაცია-ტრანზიტი)
- ინტერნეტის მოცულობის გადაცემა
- ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის და სხვა სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის იჯარა (საკომუნიკაციო არხები და სხვა ინფრასტრუქტურა)
- სხვა სერვისები, როგორიცაა კოლოკაცია, დომენის რეგისტრაცია და ა.შ.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ჯგუფის ფასს-ზე გადასვლის ხელშეწყობის მიზნით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მენეჯმენტმა გამოიყენა საუკეთესო გამოცდილება სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების, ფაქტების და გარემოებების, ფინანსური ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტები ექვემდებარება მიმდინარე ცვლილებებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს და ფასს ინტერპრეტაციების კომიტეტის მიერ, აქედან გამომდინარე, კვლავ ექვემდებარება ცვლილებას. ფინანსური ანგარიშგება შესწორდება და ხელახლა ფორმულირდება საჭიროების მიხედვით ნებისმიერი ასეთი ცვლილების გათვალისწინებით. (თუ ასეთი ცვლილებები განხორციელდება) საბოლოო ინფორმაციის შეტანამდე ჯგუფის ფასს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების პირველ სრულ პაკეტში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს, ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-3 შენიშვნაში.

იმის გამო, რომ ჯგუფი ფასს-ს გამოიყენებს მომავალ საანგარიშგებო პერიოდში, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადების მოძრაობის, კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგებების და შესაბამისი ახსნა განმარტებითი შენიშვნების შესადარისი ინფორმაცია.

წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია მოიცავს სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 2017 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული პერიოდისთვის სპეციალური დანიშნულების წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, სპეციალური დანიშნულების ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას და სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას. შესაბამისად, მოცემული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების სრულ პაკეტს.

ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე ჯგუფი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად, ფასს-ებზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება.

იმ თარიღისთვის, როდესაც ჯგუფი დაიწყებს ფასს-ებით ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, მას აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს რეტროსპექტულად ფასს 1, იმ დაშვებით, რომ ყოველთვის ფასს 1-ს იყენებდა. ფასს 1-ის გამოყენება მოხდება რეტროსპექტულად, სხვადასხვა დაშვებების გათვალისწინებით (ფასს 1.7)

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

2.1 წარდგენის საფუძველი

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

საქმიანობის უწყვეტობა

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობასა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ ჯგუფის საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია ჯგუფისთვის.

2.2 ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2017 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა, თუმცა ბასს 7-ის შესწორებასთან დაკავშირებით საჭირო გახდა ვალდებულებების რეკონსილაციის ახსნა-განმარტებითი შენიშვნის მომზადება პირველად, იხ. შენიშვნა 10.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

შემდეგ ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ჯერ არ არის შესული ძალაში და არ გამოყენებულა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, შესაძლოა ჰქონდეს გავლენა ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან
- ფასს 9 – ფინანსური ინსტრუმენტები
- ფასს 16 - იჯარა

ფასს 15 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან. 2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი უნდა აღიაროს ანაზღაურებით, კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემისთვის, რის მიღებასაც ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

ხუთეტაპიანი მოდელი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორებიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოდიხ შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

ჯგუფი აფასებს მომავალში ფასს 15-ის გამოყენების გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები. 2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს 9-ში შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მიზნად ისახავს, ჩაანაცვლოს ბასს 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა.

ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნები:

- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს-მოდელის მიხედვით, რომელშიც ხდება მათი ფლობა და საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, სავალო ინსტრუმენტები, რომლებსაც პირი ფლობს ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია სავალო ინსტრუმენტების აღრიცხვის ახალი კატეგორია “რეალური ღირებულება სხვა სრული შემოსავალში”. აღნიშნული ეხება სავალო ინსტრუმენტებს, რომლებიც მოქცეულია ისეთ ბიზნეს-მოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რაც ძირითადი თანხის გადახდებსაც წარმოადგენს და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებსაც. ამგვარი სავალო

ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, იზომება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები იზომება რეალური ღირებულებით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილისა) რეალური ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.

- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მოთხოვნების მსგავსად კლასიფიცირდება. თუმცა, არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში. ფასს 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოდგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება. გაუფასურება. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის “მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის” მოდელი, რაც ბასს 39-ის გაწეული საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელი მეწარმე პირს ავალდებულებს, ყოველ საანგარიშო დღეს აღრიცხოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები და მათი ცვლილება ისე, რომ მან ასახოს საკრედიტო რისკის ცვლილება თავდაპირველი აღიარების შემდგომ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღარ არის აუცილებელი საკრედიტო დანაკარგის აღიარება წინ საკრედიტო ხდომილება უსწრებდეს.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

- **ჰეჯირების აღრიცხვა.** შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უფრო კარგად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის პოზიციების ჰეჯირებისას მეწარმის რისკის მართვის ზომების ხასიათისას. ფასს 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობა, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.
- **აღიარების შეწყვეტა.** ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები გადმოტანილია ბასს 39-დან.

სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე ადრე დანერგვა. ფასს 9-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია, სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშგების მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.

ჯგუფი აფასებს მომავალში ფასს 9-ის გამოყენების გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16 - იჯარა - ფასს 16 იჯარა ჩანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 ლიზინგი, IFRIC 4 განვსაზღვროთ. შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღურიცხავ საოპერაციო ლიზინგს. სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც ჰგავს დღევანდელ ფინანსური ლიზინგის აღრიცხვის პრინციპს. იჯარით გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. იჯარით გამცემი განაგრძობს ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად. ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან. ჯგუფი არ გეგმავს ამ სტანდარტის ადრე დანერგვას. ამჟამად, ჯგუფი აფასებს ფასს 16-ის გამოყენების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

კონსოლიდაციის საფუძველი

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს კონტროლი ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზრდასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე;

შვილობილი საწარმოების კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც მშობელი კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც იგი კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შემენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

შიდაჯგუფური სამეურნეო ოპერაციების შედეგები და ნაშთები, ასევე შიდაჯგუფური ტრანზაქციებით წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება ელიმინირდება კონსოლიდაციის მიზნებისთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც ჯგუფი ფუნქციონირებს. ამგვარად, მოცემული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ჯგუფის წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

Caucasus Cable System Bulgaria LLC-ის ფუნქციონალური ვალუტა არის ბულგარული ლევი, რომელიც განსხვავდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტისგან (ქართული ლარი). ბასს 21-ის (უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები) მიხედვით სამუშაო ვალუტის ნაცვლად წარსადგენ ვალუტად სხვა ვალუტის გამოყენების შემთხვევაში აქტივები და ვალდებულებები თითოეული წარდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისათვის (ე.ი. შესადარისი მონაცემების ჩათვლით) გადაიანგარიშება ამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებული საბოლოო სავალუტო კურსით. შემოსავალი და ხარჯები თითოეული ანგარიშგებისთვის, სადაც წარდგენილია სრული შემოსავალი წლის განმავლობაში არსებული საშუალო სავალუტო კურსით, ხოლო გადაყვანის შედეგად წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში.

2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი და მოგება-ზარალის გადაანგარიშებისთვის გამოყენებული საშუალო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი		
	ბულგარული ლევი	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	1.5873	2.5922	3.1044
კურსი 2017 წლის 1 იანვრისთვის	1.4285	2.6468	2.7940
2017 წლის საშუალო კურსი	1.4481	2.5086	2.8322

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ჰყოფს ქვემოთ მოცემულ კატეგორიებად, შეძენილი აქტივის დანიშნულებიდან გამომდინარე. ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკა თითოეული კატეგორიისთვის შემდეგია:

თავდაპირველი აღიარება. ბასს 39-ის ფარგლებში ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც დაფარვამდე შენახული ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგების ან ზარალის, სესხების და მოთხოვნების გათვალისწინებით, ან როგორც გასაყიდად ვარგისი ფინანსური აქტივები. ჯგუფი ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

(ა) რეალური ღირებულება მოგებასა ან ზარალში ასახვით

ეს კატეგორია შედგება მხოლოდ ფულით წარმოებულებისგან. მათი მაჩვენებლები აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში რეალური ღირებულებით იმ ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ფინანსური შემოსავლის ან ხარჯის ნაწილში. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გარდა, რომლებიც არ ითვლება ჰეჯირების ინსტრუმენტებად, ჯგუფი არ ფლობს სხვა აქტივებს ვაჭრობისთვის და არც საკუთარი ინიციატივით ახდენს აქტივების კლასიფიკაციას რეალური ღირებულებით მოგებასა ან ზარალში ასახვით.

(ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან ცალკეულ შემთხვევაში განსაზღვრადი გადახდებით და ფიქსირებული დაფარვის ვადით კლასიფიცირდება, როგორც ფლობილი დაფარვამდე, როდესაც ჯგუფს გადაწყვეტილი აქვს და შეუძლია მათი განკარგვა დაფარვამდე. ჯგუფი არ ფლობს დაფარვამდე ფლობილად კლასიფიცირებულ აქტივებს.

(გ) სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. ასეთი ტიპის ფინანსური აქტივები, როგორც წესი, წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის, ან სესხების გაცემის დროს, მაგრამ მოიცავს ასევე სხვა ტიპის საკონტრაქტო მონეტარულ აქტივებსაც. სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და ფულისა და ფულის ეკვივალენტების სახით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღაროში და საბანკო ანგარიშებზე.

(დ) გასაყიდად გამიზნული

არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომელიც არ შედის ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში, კლასიფიცირდება როგორც გასაყიდად გამიზნული და ძირითადად მოიცავს ჯგუფის სტრატეგიულ ინვესტიციებს საწარმოებში, რომლებიც არ კვალიფიცირდება როგორც ფილიალები, ასოცირებული ან ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოები, ასევე კორპორატიულ ობლიგაციებს. ისინი აისახება

რეალური ღირებულებით, რომლის ცვლილებაც აღიარდება სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და აკუმულირდება გასაყიდად განკუთვნილ რეზერვში; გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი კლების შემთხვევაში (რაც წარმოადგენს გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებას), გაუფასურების სრული ოდენობა, წინათ სრულ შემოსავალში აღიარებული თანხების ჩათვლით, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გასაყიდად განკუთვნილი ფინანსური აქტივების შეძენა და რეალიზაცია აღიარდება ოპერაციის ანაზღაურების დღეს ტრანზაქციის მოხდენის დღესა და თანხის უშუალო გადახდის დღეს შორის აქტივის რეალური ღირებულების ცვლილების აღიარებით გასაყიდად გამიზნულ რეზერვებში.

რეალიზაციისას, აკუმულირებული მოგება ან ზარალი, აღიარებული სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რეკლასიფიცირდება გასაყიდად განკუთვნილი რეზერვიდან მოგება-ზარალში.

რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს.

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ექვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ოპერაციის ღირებულება არის დამატებითი დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის, შექმნის ან გაყიდვის ღირებულებას. დამატებით დანახარჯებს ადგილი არ ექნება, თუ არ მოხდება ოპერაცია. ოპერაციის თვითღირებულება მოიცავს აგენტებისთვის, კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის (თანამშრომლების ჩათვლით, რომლებიც მუშაობენ როგორც გაყიდვის აგენტები), მარეგულირებელი ორგანოებისთვის, ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე გადასახდელ საკომისიოებს, მოსაკრებლებს და გადასახადებს. ოპერაციის თვითღირებულება არ მოიცავს ფასდათმობას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

ამორტიზებადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალნსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) ჯგუფი გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას (1) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის საკუთრებას ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს. კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გარეშე.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს ორ სახეობად, გამომდინარე მათი ხასიათიდან. ჯგუფის პოლიტიკა თითოეული სახეობის ფინანსურ ვალდებულებაზე შემდეგია:

(ა) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით, არის ფინანსური ვალდებულება, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ფინანსური აქტივის შესახებ ინფორმაცია):

- (i) იგი კლასიფიცირებულია, როგორც სავაჭროდ გამიზნული;
- (ii) თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფის მიერ, იგი კლასიფიცირებულია რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მიმდინარე პერიოდში ჯგუფს არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

(ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, რომლებიც თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ - ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ფას 7 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფას 7 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე.

ჯგუფს არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფას 7-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

ჯგუფის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება განსაზღვრულია 1-ლი დონის, სესხების მე-2 დონით, ხოლო დანარჩენი ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულებები მე-3 დონის მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან.

ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

შეზღუდული ფულის ნაშთი გამოიყოფა ფული და ფულის ეკვივალენტებისგან ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისთვის. ფული და ფულის ეკვივალენტები, რომელთა გამოყენება საანგარიშგებო პერიოდიდან მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში შეზღუდულია საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულების საგარანტიოდ, კლასიფიცირდება როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებების არსებით ნაწილს შეიძლება ძირითადი საშუალებისგან განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის მეთოდები ჰქონდეს. ამგვარი ნაწილები აღირიცხება ცალკე.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფის საკუთრებაში არსებულ მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	25
სატელეკომუნიკაციო აღჭურვილობა	15
წყალქვეშა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი და აღჭურვილობა	25
დანადგარები და ოფისის აღჭურვილობა	5

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სხვაობა, ჯგუფის მიერ გასაყიდად გამიზნული აქტივის ღირებულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებულ დანახარჯებს შორის.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა გადაიხედება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს და კორექტირდება თუ ამის საჭიროება არსებობს.

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი ამოწმებს ძირითად საშუალებებს გაუფასურებაზე. თუ არსებობს ამის ნიშნები მენეჯმენტი აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება როგორც აქტივის რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. ნარჩენი ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

აქტივის გაუფასურების ზარალის კომპენსირება დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ მოცემული აქტივი აღრიცხული არ არის გადაფასებული ღირებულებით ბუღალტრული აღრიცხვის სხვა საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან ან გასვლიდან აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ამორტიზაციასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ჯგუფი ფლობს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს, რომლებიც ძირითადად მოიცავს სააღრიცხვო და საოპერაციო პროგრამების ლიცენზიებისგან. ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა გადაიხედება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს და კორექტირდება თუ ამის საჭიროება არსებობს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება, გარდა მარაგებისა

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები. სავაჭრო ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯებში.

ნეტო (წმინდა) სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. ჯგუფი ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაბეგვრა

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ჯგუფი გამოაცხადებს დივიდენდს. მოგების გადასახადის შესახებ ცვლილება ითვალისწინებს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კვლავ 15%-ს. მოგების გადასახადით მოხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბრის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. 2008 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში დაგროვილი მოგება, რომლისთვის გადახდილია მოგების გადასახადი, არ ექვემდებარება განმეორებით დაბეგვრას.

საქართველოს საგადასახადო კანოკმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის

განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდეზე. შედეგად 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფს საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბრის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სახელშეკრულებო აქტივი

მომწოდებლისთვის წინასწარ გადახდილი თანხები, ვიდრე ჯგუფი მიიღებს საქონელს ან მომსახურებას, აღიარდება როგორც სახელშეკრულებო აქტივი. სახელშეკრულებო აქტივი არის საწარმოს აქტივი, მომწოდებლისგან მიიღოს საქონელი ან მომსახურება, რისთვისაც საწარმოს გადახდილი აქვს შესაბამისი ანაზღაურება.

აქტივის შესაძენად წინასწარ გადახდილი თანხები აღიარებულია აქტივად მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია ამ აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა. სხვა გაცემული ავანსები ჩამოიწერება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც ჯგუფი მიიღებს საქონელს ან მომსახურებას, რომლისთვისაც გადახდილი იყო აღნიშნული ავანსი. თუკი არსებობს რისკი, რომ ჯგუფმა გადახდილი ავანსიდან ეკონომიკური სარგებელი ვერ მიიღოს, ავანსი ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება მიმდინარე წლის მოგება-ზარალში.

ფინანსური იჯარა

იჯარის ვადის დასაწყისისათვის ფინანსური იჯარა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება როგორც აქტივები და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით, რომლებიც გაანგარიშებულია იჯარის დასაწყისში. მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულების გამოსაანგარიშებელი დისკონტირების განაკვეთი იქნება საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი.

მინიმალური საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხული ფინანსური ხარჯებისა და გადაუხდეელი ვალდებულებების შემცირების პროპორციულად. ფინანსური ხარჯები იჯარის მთლიანი ვადის განმავლობაში, თითოეულ საანგარიშგებო პერიოდზე ისე უნდა განაწილდეს, რომ წარმოიქმნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულებების ნაშთის მიმართ. პირობითი საიჯარო გადასახდელები ხარჯად აღირიცხება იმ პერიოდში, როდესაც იქნა გაწეული.

თუ არ არსებობს იმის გონივრული რწმენა, რომ იჯარის ვადის გასვლის შემდეგ მოიჯარე მიიღებს საკუთრების უფლებას, აქტივი მთლიანად ჩამოიწერება იჯარის ვადასა და მის სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესი პერიოდის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარა

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარეს. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, საიჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად.

იჯარის ვადა არის მოიჯარის მიერ იჯარით აღებული აქტივით სარგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დროის მონაკვეთი, რომელიც არ ექვემდებარება შეცვლას ან გაუქმებას, იმ დამატებით დროის მონაკვეთთან ერთად, რომლის განმავლობაში მოიჯარეს, ხელშეკრულების თანახმად უფლება აქვს, გააგრძელოს აქტივის გამოყენება გარკვეული დამატებითი თანხის გადახდის ან გადაუხდელობის პირობით. როდესაც აქტივები გაცემულია საოპერაციო იჯარით მასთან დაკავშირებული მოთხოვნები აღიარდება, როგორც საიჯარო შემოსავალი წრფივი დარიცხვის მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

კაპიტალი და დამატებითი შენატანები კაპიტალში

ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

დამფუძნებლების მიერ განხორციელებული ყველა ფულადი ან მისი ეკვივალენტური შენატანი კაპიტალში, რომელიც ზრდის მას, მაგრამ არ აისახება ჯგუფის წესდებაში, აღიარდება როგორც დამატებითი შენატანი კაპიტალში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შეუზღუდავი გამოყენების უფლება

შეუზღუდავი გამოყენების უფლების (IRU) შეთანხმებები ძირითადად დაკავშირებულია სპეციფიური ინფრასტრუქტურის შეძენას და/ან რეალიზაციისთან, განათების ოპტიკურ-ბოჭკოვანი სიმძლავრის შეძენას და/ან რეალიზაციასთან და ქსელის ინფრასტრუქტურის ან განათების ბოჭკოვანი სიმძლავრის გაცვლასთან. ასეთი შეთანხმებები აღირიცხება როგორც იჯარები, მომსახურების ხელშეკრულებები ან ნაწილობრივ როგორც იჯარა და ნაწილობრივ როგორც მომსახურების ხელშეკრულება.

შესაბამისი კლასიფიკაციის დადგენა დამოკიდებულია ხელშეკრულების მახასიათებლების შეფასებაზე.

ქსელის სიმძლავრის ხელშეკრულება აღირიცხება როგორც იჯარა მაშინ, როდესაც:

- მყიდველს აქვს ექსკლუზიური უფლება ქსელის კონკრეტულ მოცულობაზე განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში და აქვს შესაძლებლობა გადაყიდოს (ან იჯარით გასცეს) იგი;
- სიმძლავრე არის ფიზიკურად შეზღუდული და განსაზღვრული;
- მყიდველი პასუხისმგებელია ყველა დანახარჯზე რაც პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულია ქსელის სიმძლავრესთან, საოპერაციო, ადმინისტრაციული და შენარჩუნების ხარჯების ჩათვლით; და
- ხელშეკრულების ვადის განმავლობაში მყიდველი ფლობს მოძველების რისკს.

თუ ყველა აღნიშნული კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია, შეუზღუდავი გამოყენების უფლების შეთანხმება ითვლება მომსახურების ხელშეკრულებად.

თუ იჯარის ვადა მოიცავს აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მნიშვნელოვან ნაწილს, ამ შემთხვევაში განიხილება როგორც რეალიზაცია და აღირიცხება ბასს 18-ის მოთხოვნების შესაბამისად, სხვა შემთხვევაში ტრანზაქცია განიხილება როგორც საოპერაციო იჯარა და აღირიცხება ბასს 17-ის მოთხოვნების შესაბამისად.

სახელშეკრულებო ვალდებულება

მომხმარებლისგან წინასწარ მიღებული თანხები აღიარდება როგორც სახელშეკრულებო ვალდებულება. სახელშეკრულებო ვალდებულება არის საწარმოს ვალდებულება, მომხმარებელს გადასცეს საქონელი ან მომსახურება, რისთვისაც საწარმომ მომხმარებლისგან მიიღო შესაბამისი ანაზღაურება.

ამონაგები

ამონაგები აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ამონაგები შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

ჯგუფი ამონაგებს აღიარებს, როდესაც დაკმაყოფილდება ქვემოთ აღწერილი შემოსავლის აღიარების კრიტერიუმები. ჯგუფის შეფასება ეყრდნობა წარსულ გამოცდილებას, რომელიც ითვალისწინებს მომხმარებლის ტიპს, ოპერაციის შინაარსს და თითოეული გარიგების სპეციფიკურ საკითხებს.

როდესაც საბოლოო მომხმარებლისგან მიღებული შემოსავალი უკავშირდება მესამე მხარის მიერ გაწეულ მომსახურებას და თუ ჯგუფი მოქმედებს, როგორც აგენტი ან ბროკერი, გასაწევი მომსახურების რისკისა და სარგებლის გათვალისწინების გარეშე, შემოსავალი აღიარდება ნეტო-საფუძველზე.

ამონაგები აღიარდება სხვადასხვა ტიპის მომსახურების გაწევიდან:

- თვითური გამოწერის საფასური შემოსავლად აღიარდება მომსახურების გაწევის მომენტში
- ინტერნეტ მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება შემოსავლად მაშინ, როდესაც ხდება მომსახურების გაწევა საბოლოო მომხმარებლისთვის
- ადგილობრივი და საერთაშორისო ზარებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება დამოკიდებულია ზარების ხანგრძლივობაზე. შემოსავალი აღიარდება საერთაშორისო და ადგილობრივი ოპერატორებისთვის გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მათ მიერ წამოწყებული ზარების რომელიმე ადგილობრივ ან საერთაშორისო ქსელში დასასრულებად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- მოცულობისა და ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის შეუზღუდავი გამოყენების უფლების გადაცემის სანაცვლოდ მომხმარებლისგან მიღებული თანხა საწყისად აღიარდება სახელშეკრულებო ვალდებულებად, საიდანაც ყოველი თვის პროპორციული წილი შემოსავალი აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალში;

შეთავაზებების ერთობლიობა, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა ელემენტს, ფასდება, რათა განისაზღვროს არის თუ არა საჭირო სხვადასხვა იდენტიფიცირებადი კომპონენტის გამოყოფა, რომელზეც გავრცელდება შესაბამისი შემოსავლების აღიარების პოლიტიკა. შემოსავლები გადანაწილებულია იდენტიფიცირებად ელემენტებზე მათი რეალური ღირებულებების შესაბამისად.

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების კრიტერიუმების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ხელფასები და ხელფასთან დაკავშირებული განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს ჯგუფის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად და რომლის დაფარვა გამოიწვევს ჯგუფიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონტრაქტულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფს არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- (ა) გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- (ბ) კანონმდებლობიდან; ან
- (გ) სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს ჯგუფის ქმედებიდან, სადაც:

- (ა) წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, ჯგუფი მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- (ბ) შედეგად, მესამე მხარეს ჯგუფთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში ჯგუფს არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

შპს კავკასუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბრის

(ათას ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა და შენობა- ნაგებობები	დაუმთავრე ბელი მშენებლობა	სატელეკომუნიკაცი ო ინფრასტრუქტურა	წყალქვეშა ობტიკურ- ბოჭკოვანი კაბელი და აღჭურვილობა *	დანადგარები და ოფისის აღჭურვილობა	სულ
01.01.2017	6,782	4,208	59,808	75,101	6,754	152,653
შემოსვლა	1	824	6,661	282	315	8,083
გასვლა	-	(1,767)	(154)	-	(148)	(2,069)
მომდრობა						
დაუმთავრებელ მშენებლობაზე	98	(3,350)	2,943	26	283	-
საკურსო სხვაობის ეფექტი	179	243	440	1,932	22	2,816
31.12.2017	7,060	158	69,698	77,341	7,226	161,483
დაგროვილი ცვეთა						
01.01.2017	(1,911)	-	(13,814)	(24,775)	(4,030)	(44,530)
ცვეთა	(422)	-	(7,575)	(4,025)	(463)	(12,485)
გასვლა	-	-	5	-	17	22
საკურსო სხვაობის ეფექტი	(34)	-	36	(581)	(13)	(592)
31.12.2017	(2,367)	-	(21,348)	(29,381)	(4,489)	(57,585)
საბალანსო ღირებულება						
01.01.2017	4,871	4,208	45,994	50,326	2,724	108,123
31.12.2017	4,693	158	48,350	47,960	2,737	103,898

ჯგუფის ძირითადი საშუალებებით უზრუნველყოფილია თიბისი ბანკისგან მიღებული სესხები (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 10).

2011 წელს, შპს კავკასუს ონლაინმა გააფორმა შეთანხმება კომპანიასთან ("GNC ALFA") გაუნათებელი ბოჭკოვანი ღერების 15 წლის ვადით შეუზღუდავი გამოყენების უფლების მიღებასთან დაკავშირებით. ხელშეკრულების მთლიანმა თანხამ შეადგინა 3,050 ათასი ლარი, რომელიც დაკაპიტალიზდა და აღაირდა როგორც ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი და აღჭურვილობა.

2014 წელს, შპს კავკასუს ონლაინმა გააფორმა შეთანხმება შპს პისი მაქსთან გაუნათებელი ბოჭკოვანი ღერების 15 წლის ვადით შეუზღუდავი გამოყენების უფლების მიღებასთან დაკავშირებით. ხელშეკრულების მთლიანმა თანხამ შეადგინა 266 ათასი ლარი, რომელიც დაკაპიტალიზდა და აღაირდა, როგორც ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი და აღჭურვილობა.

2011 წელს, შპს რკინიგზის ტელეკომმა გააფორმა შეთანხმება შპს დელტა კომმ-თან გაუნათებელი ოპტიკურ ბოჭკოვანი ღერების 15 წლის ვადით შეუზღუდავი გამოყენების უფლების მიღებასთან დაკავშირებით. ხელშეკრულების მთლიანმა თანხამ შეადგინა 3,591 ათასი ლარი, რომელიც დაკაპიტალიზდა და აღაირდა როგორც ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი და აღჭურვილობა.

შპს კავკასუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბრის

(ათას ლარში)

6. გაცემული სესხები

2017 წლის 22 მარტს შპს კავკასუს ონლაინმა და ფიზიკურმა პირმა (ხვია მაქაცარია), რომელიც მისი ბენეფიციარი მფლობელია, გააფორმეს წერილობითი შეთანხმება, რომლის საფუძველზეც მოხდა ხვია მაქაცარიაზე გაცემული სესხების ფიზიკური პირისგან (ლევან ყარამანაშვილი), მიღებულ სესხებთან ურთიერთგადაფარვა 2,232 ათასი ლარის ოდენობით. გაცემული სესხის დარჩენილი ნაწილის (2,737 ათასი ლარი) მიღება მოხდა ფულადი სახით.

2017 წლის 24 აპრილს შპს კავკასუს ონლაინის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით მოხდა კომპანიის საწესდებო კაპიტალისა და შპს ნელგადოზე გაცემული სესხის ურთიერთგადაფარვა 12,239 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტით (29,420 ათასი ლარი).

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული სესხების ნაშთი წარმოადგენს ხვია მაქაცარიაზე გაცემული სასესხო მოთხოვნის ნაშთს 53 ათასი ლარის ოდენობით.

7. სახელშეკრულებო აქტივები

2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით სახელშეკრულებო აქტივები წარმოდგენილია, როგორც სხვა სატელეკომუნიკაციო ოპერატორებისგან ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის საშუალებით მისაღები მომსახურებისა და ინტერნეტ მოცულობის შესაძენად გაცემული ავანსები. აქედან, საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო თორმეტ თვეში ასაღიარებელ ხარჯს წარმოადგენს - 2,509 ათასი ლარი, რაც წარდგენილია სახელშეკრულებო აქტივების მოკლევადიან ნაწილში.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31.12.2017	01.01.2017
სავაჭრო მოთხოვნები	21,378	14,626
სხვა მოთხოვნები	26	485
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები	(520)	(520)
სულ ფინანსური აქტივები	20,884	14,591
არაფინანსური აქტივები		
გაცემული ავანსები	9,525	673
სულ არაფინანსური აქტივები	9,525	673
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	30,409	15,264

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

მომდრობა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017
1 იანვარი	(520)
მომდრობა გაუფასურების რეზერვში	-
31 დეკემბერი	(520)

შპს კავკასუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	01.01.2017
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	4,701	1,756
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	2,242	286
ნაღდი ფული სალაროში	5	1
სულ	6,948	2,043

10. მიღებული სესხები

მიღებული სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	დაფარვის ვადა	საპროცენტო განაკვეთი %	ვალუტა	გრძელვადიანი	
				31.12.2017	01.01.2017
სს თიბისი ბანკი	ივლისი-2022	7.5%*	აშშ დოლარი	7,815	13,972
ფინანსური ლიზინგი*	ივნისი- 2018	13%	აშშ დოლარი	-	274
სულ გრძელვადიანი სესხები				7,815	14,246

	დაფარვის ვადა	საპროცენტო განაკვეთი %	ვალუტა	მოკლევადიანი	
				31.12.2017	01.01.2017
სს თიბისი ბანკი	ივლისი-2022	7.5%*	აშშ დოლარი	9,506	2,270
ფინანსური ლიზინგი	ივნისი- 2018	13%	აშშ დოლარი	3,390	2,804
ფიზიკური პირები	მარტი -2017	16%	ლარი	-	2,189
სულ მოკლევადიანი სესხები				12,896	7,263
სულ მიღებული სესხები				20,711	21,509

მიღებული სესხების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

(*) - ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს ემატება აშშ დოლარის ლიბორის 1 თვიანი განაკვეთი.

შპს კავკასუს ონლაინს სს თიბისი ბანკთან გაფორმებული N348891/9142861 სასესხო ხელშეკრულების თანახმად მიღებული აქვს 4,449 ათასი ლარის სესხი, რომელიც არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. აღნიშნული სესხის რეალური ბენეფიციარი მიმღები არის ფიზიკური პირი - ხვიჩა მაქაცარია, რომელიც ახორციელებს აღნიშნული სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაფარვას.

2008 წლის ივნისში შპს კავკასუს ონლაინმა ფინანსური ლიზინგით მიიღო წყალქვეშა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის აღჭურვილობა სომხეთის ტერიტორიაზე არსებული გაუნათებელი ბოჭკოვანი ღერების გასანათებლად.

შპს კავკასუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბრის

(ათას ლარში)

10. მიღებული სესხები (გაგრძელება)

მინიმალური საიჯარო გადასახდელები და მათი მიმდინარე ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	31.12.2017
მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელები	3,546	-	3,546
მომავალში დასარიცხი ფინანსური ხარჯები	(156)	-	(156)
მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულება	3,390	-	3,390

	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	01.01.2017
მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელები	2,923	281	3,204
მომავალში დასარიცხი ფინანსური ხარჯები	(119)	(7)	(126)
მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულება	2,804	274	3,078

მიღებულ სესხებში განხორციელებული ფულადი და არაფულადი ცვლილებები, რომლებიც მიღებულია ფინანსური აქტივობების შედეგად, შესაძლოა წარმოდგენილი იქნეს შემდეგნაირად:

2017 წლის 1 იანვრისთვის	21,509
ფულადი:	
სესხის დაფარვა	(8,211)
პროცენტის დაფარვა	(1,182)
სესხის აღება	9,055
არაფულადი:	
წლის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო ხარჯი	1,531
ურთიერთგადახურვა	(2,236)
ეფექტი სავალუტო ოპერაციებიდან, წმინდა	245
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	20,711

2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით სს თიბისი ბანკისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფა წამორდგენილია შემდეგნაირად:

- შპს კავკასუს ონლაინისა და შპს რკინიგზის ტელეკომის საკუთრებაში არსებული და მომავალში შეძენილი ყველა მატერიალური და არამატერიალური აქტივი
- 100% წილი კავკასუს ონლაინში
- 100% წილი შპს ნოვასტარში
- 100% წილი Caucasian Cable System Bulgaria LLC-ში

11. სახელშეკრულებო ვალდებულებები

2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით სახელშეკრულებო ვალდებულებები წარმოდგენილია, როგორც სხვა სატელეკომუნიკაციო ოპერატორებისგან ჯგუფის მფლობელობაში არსებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის საშუალებით მისაწოდებელი მომსახურებისა და ინტერნეტ მოცულობის რეალიზაციისთვის მიღებული ავანსები. აქედან, საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო თორმეტ თვეში ასაღირებელ შემოსავალს წარმოადგენს - 3,337 ათასი ლარი.

შპს კავკასუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	01.01.2017
სავაჭრო ვალდებულებები	23,898	35,183
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის მიმართ	33	22
სხვა ვალდებულებები	315	532
სულ	24,246	35,737

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

13. ამონაგები

ამონაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017
შემოსავალი ინტერნეტიდან და სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურებებიდან	49,582
შემოსავალი ადგილობრივი და საერთაშორისო ზარების ტერმინაციიდან და ტრანზიტიდან	1,371
შემოსავალი კოლოკაციის მომსახურებიდან	1,106
შემოსავალი დომეინის მომსახურებიდან	946
სხვა	265
სულ	53,270

14. კომუნიკაციის ხარჯები

კომუნიკაციის ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017
საკომუნიკაციო მომსახურების ხარჯი გარდა ინტერნეტისა	(5,751)
ინტერნეტის ხარჯი	(5,463)
საერთაშორისო და ადგილობრივი ზარების ტერმინაციის და ტრანზიტის ხარჯი	(1,312)
ინტერნეტის ტრანზიტის ხარჯი (ადგილობრივი)	(19)
სხვა	(733)
სულ	(13,278)

15. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017
ხელფასი	(4,701)
ბონუსი	(924)
დაზღვევა	(153)
სხვა სარგებელი	(109)
სულ	(5,887)

შპს კავკასუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

16. სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯები*	(1,592)
ქონების გადასახადის ხარჯი	(639)
იჯარის ხარჯები	(567)
მივლინების ხარჯები	(422)
კომუნალური ხარჯები	(401)
რეგულირების გადასახადი	(385)
საგადასახადო ხარჯები, მოგების გადასახადის გარდა	(309)
რემონტისა და შენახვის ხარჯები	(217)
სხვა	(481)
სულ	(5,013)

(*) - აუდიტორული კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების ხარჯები შეადგენს 174,882 ლარს.

17. ფინანსური ხარჯები, წმინდა

	2017
კომერციული ბანკისგან მიღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(1,163)
ლიზინგზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(325)
სხვა	(43)
სულ	(1,531)
საპროცენტო შემოსავალი	850
სულ	(681)

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ჯგუფის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საბაზრო რისკი
 - საპროცენტო რისკი
 - უცხოური ვალუტის რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად ჯგუფი დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს კავკასიუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	01.01.2017
გაცემული სესხები	53	31,242
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20,884	14,591
ფული და ფულის ეკვივალენტები	6,948	2,043
სულ ფინანსური აქტივები	27,885	47,876
მიღებული სესხები	20,711	21,509
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24,246	35,737
სულ ფინანსური ვალდებულებები	44,957	57,246

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის. ჯგუფის დირექტორთა საბჭო და შესაბამისი კომიტეტები მენეჯმენტისგან ღებულობენ ყოველთვიურ ანგარიშგებას, მიმოიხილავენ თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

ჯგუფის მენეჯმენტის მთავარი მიზანი არის დაიცვას ჯგუფი რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა) და გაცემული სესხებიდან.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ დონეს.

	31.12.2017	01.01.2017
გაცემული სესხები	53	31,242
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20,884	14,591
ფული და ფულის ეკვივალენტები (გარდა ფულისა სალაროში)	6,943	2,042
სულ ფინანსური აქტივები	27,880	47,875

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

ჯგუფს საბაზრო რისკი წარმოიშვება პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებების შედეგად.

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

• საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფი დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც ჯგუფს გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები.

2017 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფის მიერ აღებული ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები დენომინირებულია აშშ დოლარში.

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის როგორც არაწარმოებული ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მიმართ არსებული რისკის საფუძველზე. ცვალეზადი განაკვეთის ვალდებულებების შეთხვევაში, ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყო. 100 საბაზისო ერთეულის გაზრდა (100 საბაზისო ერთეული შეესაბამება 1 პროცენტთან ცვლილებას) ან შემცირება ხდება საპროცენტო განაკვეთის რისკის შიდა ანგარიშგებისას უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შეფასებას, გონივრულობის ფარგლებში.

საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სესხები აშშ დოლარში	
	პროცენტის ზრდა 1%-ით	პროცენტის შემცირება 1%-ით
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(12)	12
გავლენა კაპიტალზე	(12)	12

მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვა. ზემოთ მოცემული ცხრილი ასახავს 1 ცვლადის ცვლილებას იმ დაშვებით, რომ სხვა ცვლადები დარჩება უცვლელი. რეალურად, ცვლადები ერთმანეთთან კორელაციურ კავშირშია და ერთი ცვლადის ცვლილება გავლენას ახდენს სხვა დანარჩენზე. ცვლადებს შორის უერთიერთობა არ არის წრფივი და მცირე ან დიდი ცვლილება შეიძლება არ იყოს გამოსადეგი შედეგების ექსტრაპოლაციისთვის.

მგრძნობელობის ანალიზი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს რომ ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები იმართება აქტიურად. შესაბამისად, ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება იყოს განსხვავებული საბაზრო ფაქტორების ცვლილებების დროს. ჯგუფის ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის მიზანია გაუმკლავდეს ბაზარზე არასასურველი ცვლილების ეფექტს. შედეგად, დაშვებების რეალურმა ცვლილებამ შესაძლებელია გავლენა არ მოახდინოს ჯგუფის ვალდებულებებზე.

ზემოთ მოცემული მგრძნობელობის ანალიზი დამატებით შეზღუდულია იმით, რომ დაშვება არის ჰიპოთეტური პოტენციური რისკის დემონსტრაციისთვის და წარმოადგენს ჯგუფის მოსაზრებას ბაზრის შესაძლო ცვლილებაზე. რეალურად ბაზრის სამომავლო ცვლილება შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს.

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)• **სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა. ჯგუფს გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. ჯგუფი არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ ჯგუფი შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ჯგუფი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, ჯგუფი ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

ლიკვიდურობის რისკის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	31.12.2017
მიღებული სესხები	14,325	7,815	-	22,140
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24,246	-	-	24,246
ფინანსური ვალდებულებები, სულ	38,571	7,815	-	46,386

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	01.01.2017
მიღებული სესხები	7,291	14,218	-	21,509
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	35,737	-	-	35,737
ფინანსური ვალდებულებები, სულ	43,028	14,218	-	57,246

ინფორმაცია კაპიტალის შესახებ

ჯგუფის მიზნები კაპიტალის შენარჩუნებისას არის:

- დაიცვას ჯგუფის უწყვეტი ფუნქციონირების უნარი, რათა შეძლოს მომავალში მეწილეებზე დივიდენდების გაცემა და;
- შესთავაზოს მეწილეებს ადეკვატური დივიდენდი სერვისების ღირებულების განსაზღვრით რისკის კანონზომიერი შეფარდებით.

ჯგუფი ადგენს აუცილებელი კაპიტალის რაოდენობას რისკის პროპორციულად გადახდისუნარიანობის კოეფიციენტის გათვალისწინებით, მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას მასში შემავალი აქტივების რისკის მახასიათებლების და ეკონომიკური პირობების ცვლილებების გათვალისწინებით. გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგნაირად: წმინდა ვალდებულებებს (ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი მიმდინარე და გრძელვადიანი მიღებული სესხები) აკლდება ფული და ფულის ეკვივალენტები და იყოფა „სულ საკუთარ კაპიტალზე“.

გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი	31.12.2017	01.01.2017
მიღებული სესხები	20,711	21,509
მინუს: ფული და ფულის ეკვივალენტები	(6,948)	(2,043)
წმინდა ვალდებულებები	13,763	19,466
სულ საკუთარი კაპიტალი	34,925	48,250
სულ დაკორექტირებული კაპიტალი	34,925	48,250
გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი (%)	39%	40%

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

- ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. ჯგუფისა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების შედეგები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენილია შემდეგნაირად:

	დაკავშირებული მხარე	31.12.2017
გაცემული სესხები		
ხვიჩა მაქაცარია	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე	53
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		
ხვიჩა მაქაცარია	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე	3
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		
შპს სი ბი ეს ჯგუფი	სხვა*	29

დირექტორების, მენეჯმენტის და სამეთვალყურეო საბჭოს სხვა წევრების ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	
შრომის ანაზღაურება	1,028

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენილია შემდეგნაირად:

	დაკავშირებული მხარე	2017
სხვა საოპერაციო ხარჯები		
შპს სი ბი ეს ჯგუფი	სხვა*	(148)
კობა ღურცკაია	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი	(445)
ხვიჩა მაქაცარია	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე	(15)
ფინანსური ხარჯები, წმინდა		
ხვიჩა მაქაცარია	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე	48
Nelgado Limited BVI	დამფუძნებელი	796

(*) - საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანია

20. პირობითი ვალდებულებები და აქტივები

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ჯგუფს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ჯგუფს მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

2017 წლის 21 ივნისს დადებული საგადასახადო შეთანხმების საფუძველზე შპს კავკასუს ონლაინის საგადასახადო დავალიანება ნაცვლად 22,311 ათასი ლარისა, განისაზღვრა 13,610 ათასი ლარის ოდენობით, რომლის დაფარვის გრაფიკი დადგინდა ამავე საგადასახადო შეთანხმებით და წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2017 წლის 30 ივლისამდე	10,000
2017 წლის 31 დეკემბრამდე	1,200
2018 წლის 30 ივნისამდე	1,200
2018 წლის 31 დეკემბრამდე	1,210
სულ	13,610

საგადასახადო შეთანხმებით ვალდებულების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში საგადასახადო შეთანხმების აქტი ჩაითვლება გაუქმებულად და შპს კავკასუს ონლაინს დაეკისრება ჯარიმა გადაუხდელი თანხის 10 პროცენტის ოდენობით.

პირობის შესრულების შემდეგ 2017 წლის 11 ივნისის მდგომარეობით პირად ბარათზე საგადასახადო დავალიანების თანხა იქნება 13,610 ათასი ლარი. სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვებამდე კომპანიას თითქმის სრულად აქვს დაფარული ეს ვალდებულება (იხილეთ შენიშვნა 21).

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

ჯგუფი ვალდებულია შეასრულოს კონკრეტული ფინანსური კოვენანტები გაწერილი სასესხო ხელშეკრულებით.

კოვენანტებთან შესაბამისობა - სს თიბისი ბანკისგან მიღებულ საკრედიტო პროდუქტებთან დაკავშირებით შპს კავკასუს ონლაინი ვალდებულია დააკმაყოფილოს შემდეგი ფინანსური და არაფინანსური კოვენანტები:

ფინანსური კოვენანტები:

- ჯამურმა სასესხო ვალდებულებებმა არ უნდა შეადგინოს non-cash შემოსავლების გარეშე საოპერაციო მოგების (EBIDA) 300%-ზე მეტი-(EBIDA)საოპერაციო მოგება საპროცენტო ხარჯებისა და ამორტიზაციის გარეშე.
- სესხის მიმდინარეობისას შენარჩუნებული უნდა იყოს სესხის მომსახურების შემდეგი კოეფიციენტები:
- P&L based DSCR მინიმუმ 1.2 დონეზე. იანგარიშება: (EBITDA- Maintenance CAPEX-დივიდენდი-მოგების გადასახადი-accrued revenues from IRU agreements)/ (გრძელვადიან სესხებზე გადასახდელ ძირს პლიუს გადასახდელი პროცენტები). Free cash-დან დათვლილი სესხის მომსახურების კოეფიციენტი უნდა იყოს მინიმუმ 1.1 დონეზე. იანგარიშება: (EBITDA-ცვლილება საბრუნავ კაპიტალში + IRU კონტრაქტებიდან ჩარიცხული თანხები)- Maintenance CAPEX - დივიდენდი - მოგების გადასახადი)/ (გრძელვადიან სესხებზე გადასახდელ ძირს პლიუს გადასახდელი პროცენტები). ყველა მონაცემის კალკულაცია უნდა მოხერხდეს კონსოლიდირებულად.

20. პირობითი ვალდებულებები და აქტივები (გაგრძელება)

EBITDA იანგარიშება IFRS სტანდარტის მიხედვით, როგორც კომპანიის საოპერაციო მოგება, მოგების გადასახადის, საპროცენტო ხარჯების, ცვეთისა და ამორტიზაციის დაკლებამდე.

- კომპანია ვალდებულია სესხის მიმდინარეობისას უზრუნველყოს ICR კოეფიციენტის შენარჩუნება მინიმუმ 3 დონეზე. ICR კოეფიციენტი გაიანგარიშება როგორც კომპანიის საოპერაციო მოგება EBIT შეფარდებული კომპანიის მიერ პერიოდის მანძილზე გადასახდელ საპროცენტო ხარჯთან. თუ კომპანია შეთანხმდება საგადასახადოსთან 2016 წლის მოგების გადასახადის გრაფიკით გადახდაზე ICR კოეფიციენტის კალკულაცია მოხდება როგორც კომპანიის საოპერაციო მოგება EBIT-ს გამოკლებული მიმდინარე პერიოდში გრაფიკით გადასახდელი გადასახადები და შეფარდებული კომპანიის მიერ პერიოდის მანძილზე გადასახდელ საპროცენტო ხარჯებთან.

არა ფინანსური კოვენანტები:

- დაწყებული 2016 წლიდან, ყოველწლიურად (ყოველი წლის 1 დეკემბრამდე) შპს "კავკასუს ონლაინმა", "შპს რკინიგზის ტელეკომმა" და Caucasus cable system Bulgaria-მ უნდა მოამზადონ და სს "თიბისი ბანკს" წარუდგინონ შემდგომი წლის სრული ბიუჯეტი თვეების მიხედვით. ინფორმაცია უნდა იყოს მოწოდებული როგორც კონსოლიდირებული სახით ისე ცალ-ცალკე შპს „კავკასუს ონლაინის“, Caucasus Cable System Bulgaria-ს და შპს „რკინიგზის ტელეკომისთვის“
- ნებისმიერი პროექტისათვის/ინვესტიციისთვის, რომლის ღირებულებაც აღემატება 2,000,000 აშშ დოლარს წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია და IRR-ის და NPV-ის გაანგარიშება. დაწყებული 2017 წლის 30 ივნისიდან, ყოველ 6 თვეში ერთხელ, შპს „კავკასუს ონლაინი“ ვალდებულია თიბისი ბანკისთვის მისაღები ფორმით წარმოადგინოს ბიზნეს გეგმის/ბიუჯეტის და ფაქტიური შედეგების შედარება.
- შპს "კავკასუს ონლაინმა", "შპს რკინიგზის ტელეკომმა" და Caucasus Cable System Bulgaria -მ უნდა აწარმოონ ბუღალტრული აღრიცხვა IFRS სტანდარტების მიხედვით და ყოველი თვის დასრულებიდან მაქსიმუმ 30 დღეში (2017 წლის აპრილამდე 45 დღის ვადაში) სს „თიბისი ბანკს“ (მოთხოვნის შემთხვევაში) წარუდგინონ ყოველთვიური მოგება-ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობის და საბალანსო უწყისები, სხვადასხვა პროექტების მიმდინარე სტატუსი და განხორციელებული სამუშაოებისა და კაპიტალური ინვესტიციების აღწერა, ასევე ნებისმიერი სხვა დამატებითი ინფორმაცია ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში.
- შპს „კავკასუს ონლაინი“, შპს „რკინიგზის ტელეკომი“ და Caucasus Cable System Bulgaria ვალდებულია ყოველი წლის დასრულებიდან მაქსიმუმ 5 თვის ვადაში სს „თიბისი ბანკს“ წარუდგინოს შესაბამისი წლის კონსოლიდირებული აუდიტირებული ფინანსური ინფორმაცია და management letter.
- შპს „კავკასუს ონლაინი“, შპს „რკინიგზის ტელეკომი“, და Caucasus Cable System Bulgaria ვალდებულები არიან ყოველი კვარტლის დასრულებიდან მაქსიმუმ 30 კალენდარული დღის ვადაში სს „თიბისი ბანკს“ წარუდგინონ შესაბამისი კვარტლის სრულყოფილი ფინანსური ინფორმაცია. ფინანსები წარმოდგენილი უნდა იქნას International Federation of Accountant-ის საერთაშორისო სტანდარტების დაცვით.
- მსესხებელს ან მის შვილობილ კომპანიას არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე აიღოს სესხები , ასევე გააფორმოს ლიზინგი ჯამურად ან ცალ-ცალკე 100,000 აშშ დოლარზე მეტი ოდენობით. ასევე მსესხებელს ან მის შვილობილ კომპანიას არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე წლის განმავლობაში ჯამურად ან ცალ-ცალკე აიღოს ნებისმიერი რაიმე სხვა სახის ფინანსური ვალდებულება, რომელიც აღემატება 2,000,000 აშშ დოლარს (მოიცავს კონსიგნაციით შეძენილ პროდუქციის ვალდებულებებს).
- მსესხებელს ან მის შვილობილ კომპანიას არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი თანხმობის გარეშე დააგირაოს ან რაიმე სახის ვალდებულების ქვეშ დატვირთოს საკუთარ ბალანსზე არსებული ქონება. ამასთან კომპანიას არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი თანხმობის გარეშე გასცეს რაიმე სახის ფინანსური თავდებობა.
- მსესხებელმა ან მისმა ნებისმიერმა შვილობილმა კომპანიამ სს „თიბისი ბანკის“ წერილობითი თანხმობის გარეშე არ უნდა გაასხვისოს ან შპს „კავკასუს ონლაინის“ ბალანსიდან რაიმე სახით სხვაგან გადაიტანოს , იჯარით გასცეს საკუთრებაში არსებული 1,000,000 ლარზე მეტი ღირებულების ნებისმიერი ქონება ერთი კალენდარული წლის განმავლობაში.

20. პირობითი ვალდებულებები და აქტივები (გაგრძელება)

- მსესხებელმა ან მისმა ნებისმიერმა შვილობილმა კომპანიამ საბანკო ბრუნვების 75% დებეტური ტრანზაქციების 95% და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი ნაშთების 80% იქონიოს მხოლოდ სს „თიბისი ბანკში“. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ წერილობითი შეთანხმებით. ასევე მსესხებელმა უნდა შეასრულოს 2013 წლის 29 დეკემბრის ბანკსა და შპს „რკინიგზის ტელეკომს“ შორის გაფორმებული ექსკლუზიური საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების პირობები.
- ბანკის მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში მსესხებელი ან მისი ნებისმიერი შვილობილი კომპანია ვალდებულია ბანკს მისცეს უფლება მასზედ რომ ბანკმა იქონიოს პირდაპირი კავშირი მსესხებლის აუდიტორ კომპანიასთან და მიიღოს მისგან ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია.
- შპს „კავკასუს ონლაინმა“, შპს „რკინიგზის ტელეკომმა“ და Caucasus Cable System Bulgaria-მ არ უნდა განახორციელოს კაპიტალური ინვესტიციები ფიქსირებულ ან სხვა გრძელვადიან აქტივებში ბანკის თანხმობის გარეშე თუ:
 - ა) აღნიშნული ინვესტიციები არ არის გათვალისწინებული ბიზნეს გეგმაში ან/და
 - ბ) აღნიშნული ინვესტიციების განხორციელებით წლის განმავლობაში განხორციელებული და განსახორციელებელი ჯამური კაპიტალური დანახარჯები აღემატება 3 მლნ აშშ დოლარს ან/და
 - გ) აღნიშნული ინვესტიციების განხორციელების შემთხვევაში დაირღვევა DSCR-ის მინიმალური მოთხოვნა
- მსესხებელს ან მის ნებისმიერ შვილობილ კომპანიას არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გასცეს სესხები ჯამურად ან ცალ-ცალკე 500,000 ლარზე მეტი ოდენობით.
- სესხის მოქმედების პერიოდში სამეწარმეო რეესტრის ამონაწერში საგადასახადო გირავნობის ან ინკასოს გაჩენის შემთხვევაში მსესხებელი ან მისი ნებისმიერი შვილობილი კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს მისი მოხსნა 30 კალენდარული დღის განმავლობაში.
- მსესხებელს ან მის ნებისმიერ შვილობილ კომპანიას არ აქვს უფლება გასცეს დივიდენდი სს „თიბისი ბანკის“ თანხმობის გარეშე.
- მსესხებელს ან მის ნებისმიერ შვილობილ კომპანიას არ აქვს უფლება სესხის მოქმედების პერიოდში გააფორმოს რაიმე სახის შეთანხმება 300 000 ლარზე ან მეტ თანხაზე, გარდა იმ შეთანხმებებისა, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ჩვეულებრივ საოპერაციო საქმიანობასთან და ასევე არ არის დაკავშირებული არაკეთილსინდისიერ გარიგებასთან, არ გულისხმობს მსესხებლის ან მისი ნებისმიერი შვილობილი კომპანიის მიერ საბაზრო ფასთან შედარებით მეტი თანხის გადახდას ან საბაზრო ფასთან შედარებით ნაკლები თანხის მიღებას.
- მსესხებელი ვალდებულია ნებისმიერ დაკავშირებულ პირთან ნებისმიერი გარიგება დადოს მხოლოდ ბანკის წინასწარ თანხმობის არსებობის შემთხვევაში. მსესხებელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს, რომ შპს "რკინიგზის ტელეკომმა" და caucasus cable system Bulgaria EOOD-მა ნებისმიერ დაკავშირებულ პირთან ნებისმიერი გარიგება დადოს მხოლოდ ბანკის წინასწარი თანხმობის არსებობის შემთხვევაში. ამ პუნქტის მიზნებისთვის:ა) დაკავშირებულ პირებად ითვლებიან მსესხებელი, შპს "რკინიგზის ტელეკომი", Caucasus Cable System Bulgaria, შპს "პისიმაქსი", Nelgado limited, Novastar commerce limited, International Online Networks, აღნიშნული კომპანიების დამფუძნებლები, შვილობილი კომპანიები, ბენეფიციარი მესაკუთრეები, და ბ) დაკავშირებული პირი ასევე არის ნებისმიერი პირი, რომელიც ასეთად განისაზღვრება ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- სს „თიბისი ბანკის“ წერილობითი თანხმობის გარეშე მსესხებელს ან მის ნებისმიერ შვილობილ კომპანიას არ აქვს უფლება სესხის მოქმედების პერიოდში გააფორმოს რაიმე სახის შეთანხმება, რომელიც დაკავშირებულია მოგების /შემოსავლების მესამე პირთან განაწილებასთან.
- მსესხებელს ან მის ნებისმიერ შვილობილ კომპანიას არ აქვს უფლება ბანკის ნებისმიერი წერილობითი ნებართვის გარეშე განახორციელოს საწესდებო კაპიტალის შემცირება.

კომპანია აკმაყოფილებს კოვენანტების ისეთ მნიშვნელოვან მოთხოვნებს 2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით, რომელთა დარღვევამაც, სასესხო ხელშეკრულების პირობების თანახმად, შესაძლოა რაიმე ნეგატიური გავლენა იქონიონ კომპანიაზე.

შპს კავკასუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2018 წლის 20 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმებული 13,610 ათასი ლარის ვალდებულებიდან უკვე დაფარულია 13,600 ლარი. შპს კავკასუს ონლაინის ხელმძღვანელობის შეფასებით ვალდებულების სრულად დაფარვა მოხდება აქტივ დადგენილ ვადებში.